განმარტებითი ბარათი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ენაგეთის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად დამუშავებული პროექტი შედგენილია ინდ.მეწარმე "ზურაბ ნაცვლიშვილი"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სატენდერო ტექნიკური დავალების და თან დართული ჰიდროგეოლოგიური დასკვნის შესაბამისად. მუშა პროექტი ითვალისწინებს სოფელ ენაგეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის სასმელ-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების მიზნით ჭაბურღილის და წყალმომარაგების ქსელის მოწყობას. დღეისათვის სოფელში ცხოვრობს 150 კომლი, რაც სულადობრივად შეესაბამება 425 მოსახლეს. სოფელს მცირე დებეტის წყლის სათავედან წყალი მიეწოდება წყალშემკრებირეზერვუარიდან საუბნო ონკანების მეშვეობით. წყალშემკრები რეზერვუარის ქვემოთ დაპროექტებულია ერთი არტეზიული ჭის გაბურღვა, სიღრმით 200მეტრი X-469579, y- 4606271, h-850 კორდინატებს შორის.

ჰიდროგეოლოგიური დასკვნით ჭაბურღილის საპროექტო დებეტი შეადგენს 5მ^3/სთ-ში დღეღამური დებეტი იქნება 5X24=120მ^3 ჭაბურღილში 115მ სიღრმეში იდგმება სიღრმისეული ელექტრო ტუმბო წარმადობით 5მ3 სთ-ში აწევის სიმაღლე 130მ. პოლიეთილენის d-63 პნ 16 მილით. წყლის აღნიშნული რაოდენობა ამავალი მილით მიეწოდება არსებულ წყალშემკრებ რეზერვუარს X-469646 y-4606232 h-860 კორდინატებში. საიდანაც მოხდება მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება, რის შედეგადაც მოხდება სამშენებლო ნორმების და წესის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე წყალზე დღეღამური მოთხოვნილების ნორმის 250ლიტრი დაკმაყოფილება. 425მოსახლეX250ლიტ:1000=106.25მ^3.

ჭაბურღილიდან რეზერვუარებზე წყლის მიწოდება მოხდება d-63 პნ 16 პოლიეთილენის მილებით სიგრძით 77.3მ. ღელის გადაკვეთაზე გარცმის d-219მმ სისქით 4.5მმ ფოლადის მილში გატარებით, ამავალი ფერდობის თავში მოეწყობა ვანტუზის ჭა, ჭა მოეწყობა რკინა-ბეტონის ჭის ძირის ფილებზე,d-1000 რკინა-ბეტონის რგოლებით და გადახურვის 20ტონა დატვირთვის თუჯის ხუფიანი ფილით. ამავალ ფერდობზე

გამავალი მილის არხის ნიაღვრისაგან ჩამორეცხვის თავაიდან ასაცილებლად ეწყობა ბეტონის ჩამკეტები ბალასტის შევსება ჩატკეპნით. ჭაბურღილთან მოეწყობა სანიტარული შემოღობვა ლითონის ელექტრო ბოძის მონტაჟით. მშენებლობის პროცესში აუცილებლობით გამოწვეული დამატებითი დაფარული სამუშაოები შესრულებულ იქნეს გაუთვალისწინებელი ხარჯების 3% ფარგლებში.